ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:**ბ37. 3723277001**
თარიღი:**04/10/2023**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო

კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ'' საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414-ე ბრძანებულების 55-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N174-ე ბრძანებით დამტკიცებული ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების“ მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა თავდუმაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, **კომისიის თავმჯდომარე;**

ბ) გივი ყაზაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საოქმო მომსახურების საკითხებში, **კომისიის მდივანი;**

გ) ნათელა ლომჯარია -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე, **კომისიის წევრი;**

დ) ნინო აბაშიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

ე) ავთანდილ გოლიაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

ვ) ნათია ზედგინიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

ზ) ნინო ერქომაიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საკითხებში, **კომისიის წევრი.**

2**.** დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიამ მუშაობა წარმართოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის N 174-ე ბრძანებით დამტკიცებული ,,დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების'' შესაბამისად.

3. დაევალოს კომისიის წევრებს, საქმიანი კავშირის დამყარება გურიის რეგიონულ არქივთან.

4. დაევალოს კომისიის წევრებს დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის სამუშაოების ჩატარებისა და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გურიის რეგიონულ არქივში გადაცემის ორგანიზების მიზნით, იხელმძღვანელონ გურიის რეგიონული არქივის ნორმატიული და მეთოდიკური რეკომენდაციებით.

5. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დოკუმენტების შემფასებელი მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2019 წლის 18 ივლისის N83 ბრძანება.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი